ხელშეკრულების ცვლილება #3

ხელშეკრულების ნომერი: SRMIDP/CW/NCB/24-2015

სოფელ ჩალაუბანის გზის რეაბილიტაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტში

წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება #3 (შემდგომში „ხელშეკრულების ცვლილება #3“)
გაფორმდა 2016 წლის 22 აპრილს
ერთის მხრივ **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა** (შემდგომში „დამკვეთი“) და
მეორეს მხრივ **შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი“**-ს (შემდგომში
„კონტრაქტორი“-ს) შორის

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების განხორციელება *(ცვლილების გამომწვევი მიზეზების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თანდართული, მგფ-ს მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის, #1528-მ მოხსენებითი ბარათი დანართებით).*
კონტრაქტორმა წარმოადგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მისაღებად იქნა მიჩნეული საზედამხედველო კომპანია - „Eptisa Servicios de Engenieria S.L”-ს და მგფ-ს მიერ.
მგფ-ს პროექტების შეფასების სამსახურმა განიხილა და მისაღებად მიიჩნია კონტრაქტორის მიერ ახალი პოზიციებისთვის წარმოდგენილი ერთეული ფასები.
დამატებითი სამუშაოების ღირებულება - 8,722.56 ლარი დაიფარა ხელშეკრულებით განსაზღვრული D-დღიური სამუშაოების ღირებულებიდან რომელიც შეადგენდა 25,967.08 ლარს. ხოლო D-დღიური სამუშაოების დარჩენილი ღირებულების გამოყენება პროექტის მიმდინარეობისას არ გახდა საჭირო და შესაბამისად 17,244.52 ლარი დააკლდა ხელშეკრულების მთლიან ღირებულებას.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილების შედეგად, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შემცირდა 17,244.52 ლარით და შეადგენს 999,995.79 ლარს *(კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა თანდართულია).*

შესაბამისად დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება **1,017,240.31** ლარი შემცირდა **17,244.52** ლარით და შეადგენს **999,995.79 (ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდათხუთმეტი და 79/100)** ლარს.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება #3 წარმოადგენს 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული #SRMIDP/CW/NCB/24-2015 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ხელმოწერილია დამკვეთის მხრიდან:

ჯუანშერ ბურჭულაძე
საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 150

ხელმოწერილია კონტრაქტორის მხრიდან:

ზურაბ ფეიქრიშვილი
შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია
„სერპანტინი“-ს დირექტორი
მის: ფალიაშვილის ქ#27, ქ. თელავი, საქართველო
ს/კ: 231165529